ხელშეკრულება №19
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. ხაშური 14 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) ი/პ ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა შემდეგში (შემსყიდველი) სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ი/მ გოჩა ჭავჭავაძე შემდგომში (მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია საკანცელარიო ნივთები კოდი: 79500000

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება 200 (ორასი) ლარი

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარი

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 14 ივნისიდან

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია

შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის. (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2015 წლის 14 ივნისიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავინთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს. მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებისინსპექტირების პირობები.

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გიორგი მახათაძე შპს „სანიტარული დასუფთავების“ დირექტორი.

10.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

11.2. არცერთს მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. მეამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა	ი/მ გოჩა ჭავჭავაძე
ხაშური სააკაძის №18	ხაშური, რუსთაველის 7
ხაშური ლიბერთი ბანკი	ხაშური სს. საქართველოს ბანკი
კოდი: 243916143	კოდი: 57001026049
ანგ.ნომერი: GE55LB0115135226222000	ანგ.ნომერი: GE05BG0000000113096900
დირექტორი: ზ. აბრამაშვილი	ი/მ: გ. ჭავჭავაძე